

ისრაელ-არაბული ქვეყნების დაპირისპირება და პალესტინური
იდენტობის საკითხი

ანი შევარდენიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი სანიკიძე

სრული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანი შევარდენიძე

2018 წელი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ანალიზი გაუკეთოს ისრაელ-არაბული კონფლიქტის მიმდინარეობასა და მის გავლენას პალესტინელთა იდენტობის ფორმირებაზე. კონფლიქტური პერიოდი ბევრი ფაქტორისგან შედგება. მათ შორის მნიშვნელოვანია 1948, 1967 და 1973 წლების ომები, შედეგად წარმოშობილი ტერიტორიული ცვლილებები და, შესაბამისად, სამშობლოდან გამოძევებული პალესტინელების განსახლების ახალი გეოგრაფიული არეალი, პროცესებს თან ახლდა ასევე არაბული ქვეყნების ინტერესები და ქმედებები პალესტინის საკითხის ირგვლივ, ასევე ახლად წარმოშობილი განმათავისუფლებელი მოძრაობების თანმხლები ორგანიზაციების გაძლიერება და მათი საქმიანობის ეფექტურობა. პალესტინურ საკითხზე საუბრისას ასევე უნდა აღინიშნოს მრავალმხრივი სამშვიდობო მოლაპარაკებების არსებობა, რომელთაც თან ახლდათ გარკვეული სასიკეთო შედეგები, თუმცა, საბოლოო ჯამში მათ მაინც ვერ მოახდინეს გავლენა კონფლიქტის მოგვარებაზე.

ზემოთ აღნიშნულმა ფაქტორებმა და მათმა შედეგებმა განაპირობა პალესტინური ჯგუფების მიერ დღევანდელი მათი განსახლების არეალის დაკავება და ისეთი წინაპირობების შექმნა, რომელთაც მნიშვნელოვნად განსაზღვრეს პალესტინური იდენტობის ფორმირების პროცესი და ასევე ის საკითხი, თუ რამდენად ერთიანია სხვადასხვა ტერიტორიაზე მცხოვრებ პალესტინელთა ეთნიკური იდენტობა, რაც წამყვანი თემაა იმ კვლევისა, რომელიც საბოლოო ჯამში აჩვენებს რომ ინდენტობის ჩამოყალიბებაზე განსხვავებული გეოგრაფიული არეალის გავლენა წინააღმდეგობრივია.

ძირითადი საძიებო სიტყვები: იდენტობა, დიასპორა, აღ-ნაკბა, პალესტინა, ლტოლვილები, გეოგრაფიული არეალი, ისრაელ-პალესტინის ომები

Abstract

The following research aims to analyze the Israeli-Arab conflict developments and its impact on shaping the Palestinian Identity. The above noted conflict consists of many factors among which wars of 1948, 1967, 1973 are the most important, because it has resulted in territorial changes, expulsion of of Palestinians from their homeland and their settlement in differeng geographical area. Those processes were also accompanied with interests and actions of Arab countries regarding Palestinian issue, also strengthening of newly established liberation organizations and the effectiveness of theis operation. Israeli-Arab conflict also consisted of multilateral peace negotiations which were not able to deal with the disagreement despite of certain positive results.

Above mentioned factors and its consequences has formulated today's resettlement area of Palestinians and the emergence of preconditions which has determined the process of shaping of Palestinian identity and the issue of united ethnical identity among Palestinians living on different geographical location, what is the main focal point of the research which at least reveals that the impact of different Geographical area on the shaping of united Palestinian identity is controversial.

Key words : Identity, Diaspora, Al-Nakba, Palestine, refugees, Geographical area, Israeli-Palestine wars.